

კულტურული განსხვავებების როლი კულტურათაშორის კომუნიკაციაში

თეონა ლისიაკი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

გამოყენებითი უცხო ენები და საერთაშორისო მოლაპარაკებები/ეკონომიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მათა თევზაძე, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეონა ლისიაკი

24.06.2022

აბსტრაქტი

წარმატებული საერთაშორისო ურთიერთობებისთვის ენის კარგად ცოდნის შემთხვევაშიც ადამიანები ხშირად ერთმანეთის ქცევის არასწორ ინტერპრეტაციას ახდენენ. შედეგად ყალიბდება სერიოზული დამაბრკოლებელი ფაქტორები ინტერკულტურულ კომუნიკაციებში, რომლებიც ართულებს და ზოგჯერ შეუძლებელსაც კი ხდის შემდგომ კომუნიკაციას.

ნაშრომში უპირველესყოვლისა მიმოვიხილეთ კულტურათაშორისი შედარებით-შეპირისპირებითი კვლევებისთვის საჭირო ცნებები, ხოლო შემდეგ განვიხილეთ რამდენიმე კონკრეტული კულტურული განსხვავება, რომლებიც წარმოშობს პრობლემებს კულტურათაშორის კომუნიკაციებში. ესენია: განსხვავებები დროისა და სივრცის აღქმაში, განსხვავებები ღირებულებით ორიენტირებში, ეთნოცენტრიზმი, სტერეოტიპები, კულტურული ტაბუ, განსხვავებები კომუნიკაციურ სტრატეგიებსა და მათი რეალიზების კომუნიკაციურ საშუალებებში, განსხვავებები ფრანგული და ქართული კულტურების თავაზიანობის სტრატეგიებში. ამის საფუძველზე გავაკეთეთ შესაბამისი დასკვნა.

ძირითადი საძიებო სიტყვები: კულტურათაშორისი კომუნიკაცია, კულტურული კონფლიქტი, თავაზიანობის სტრატეგიები.

Abstract

Even in case of good knowledge of the language for successful relations, people make incorrect interpretation of each other's behavior. As a result, serious hindering factors are formed in intercultural communications, which makes further communication difficult and sometimes even impossible.

The first thing we discussed in the paper are concepts necessary for intercultural comparative and contrast studies and afterwards, we considered several particular cultural differences, that create problems in intercultural communications. These are as follows: differences in the perception of time and space, differences in value orientations, ethnocentrism, stereotypes, cultural taboo, differences in communicative strategies and in communicative methods of their realization, differences in French and Georgian courtesy strategies. On the grounds of the above-mentioned, we made relevant conclusion.

Key words: intercultural communication, cultural conflict, courtesy strategies.

მადლობა

წინამდებარე ნაშრომის მომზადებაში გაწეული დახმარებისთვის დიდ მადლობას ვუხდით ჩემს ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მოწვეულ ლექტორს, ქალბატონ მაია თევზაძეს, რომლის ლექციები, აკადემიური თუ ადამიანური რჩევები სამაგისტრო კურსის მანძილზე ძალიან დამეხმარა.